პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

30 ივლისი, ხუთშაბათი, 1987 წ.
№ 147 (9558) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის ჩემპიონატი წყალში ხტომაში

## ამჯერად ვერცხლის მედალი

**წლეულს** თბილისელმა გიორგი ჩოგოვაძემ წყალში მხტომელთა შეჯიბრებებზე, სადაც კი გამოვიდა, ყველგან თავი გამოიჩინა. ამჯერად მან დნეპროპეტროვსკში გამართულ საკავშირო ჩემპიონატში სცადა ძალა. 10-მეტრიანი კოშკიდან ხტომაში ჩემპიონობისთვის ბრძოლა ძირითადად ჩოგოვაძესა და ერევნელ არსენ ჯავადიანს შორის წარიმართა. სომეხი სპორტსმენი ჩემპიონი გახდა (588,20 ქულა). ჩოგოვაძემ კი ვერცხლის მედალი მოიპოვა (579,56), ბრინჯაოს მედალი ზაპოროჟიელმა სერგეი გურილოვმა მიიღო (568,41).

ჩოგოვაძეს იქნებ ოქროს მედალი მოეპოვებინა, რამდენიმე დღით ადრე გადაღლილი რომ არ დაბრუნებულიყო ზაგრებიდან, სადაც სტუდენტთა მსოფლიო უნივერსიადაზე მეორე ადგილი დაიკავ.

2 აგვისტოს, 18 საათზე, კრწანისის ტყე-პარკის ტერიტორიაზე გაიმართება ახალგაზრდობის ზეიმი. პროგრამაშია კულტურულ-სპორტული ღონისძიებები.

2 აგვისტოს, 16 საათიდან ბარათაშვილის ქუჩაზე, ქორწინების სახლთან თქვენ დაგელოდებათ № 222 ავტობუსი, ღონისძიების დამთავრების შემდეგ კი ტყე-პარკის ტერიტორიიდან ქალაქის ყველა მიმართულებით 22 საათიდან იმოძრავებენ ავტობუსები.



შესრულდა 25 წელი მას შემდეგ, რაც თბილისის „დინამოს" კალათბურთელებმა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი მოიპოვეს. ამ ღირსსახსოვარ თარიღს ეძღვნება წერილი, რომელსაც მე-3 გვერდზე გთავაზობთ.

### მიეძღვნება ოქტომბრის რევოლუციის 70-ე წლისთავს

## სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშები

„ლელოს" კორესპონდენტები **როდიონ ქორქია, ოთარ ნოზაძე, გიორგი ჩოჩიშვილი, ლევან ქავჟარაძე, ვაჟა დანელია, დავით ჭელიძე, ალექსი პაპოშვილი** შეჯიბრებების ადგილებიდან გვატყობინებენ:

### წინსვლის მაჩვენებელი შედეგით

**საკავშირო** თამაშებზე ჩვენს სამბისტებს წარმატების მოპოვების იმედი ჰქონდათ, მაგრამ ამდენი მედალი თუ საქართველოს დარჩებოდა, არავის ეგონა. პირველი ოქროს მედალი 38 კგ წონით კატეგორიაში ბადრი ჯანიაშვილმა (მწვრთნელი გიორგი გორგაძე) მოიპოვა. კასპის რაიონის სოფელ ახალქალაქის საშუალო სკოლის მოსწავლემ ქვეჯგუფში მოპოვებული სამი გამარჯვების შემდეგ ფინალში ხასაინ ბისულთანოვი („უროჟაი", არღუნი) დაამარცხა. საქართველოს გუნდს მეორე ოქროს მედალი ახმეტის რაიონის სოფელ მატნის I საშუალო სკოლის მეათეკლასელმა ზვიად მამუკელაშვილმა (53 კგ., მწვრთნელი გივი ახალაური) შესძინა. ზვიადმა ფინალში დიდი უპირატესობით მოუგო პროფკავშირთა II-ის ნაკრების წევრს ვიქტორ მელნიკოვს (კუიბიშევი).

71 კგ წონით კატეგორიაში დაძაბულად წარიმართა რუსთაველი ფრიდონ ყვავილაშვილისა (22-ე საშუალო სკოლა) და ტაშკენტელი სერგეი იგნატოვის (სამხრეთი ზონა) ბრძოლა. ქულებით გაიმარჯვა და ოქროს მედალი დაისაკუთრა ყვავილაშვილმა (მწვრთნელი ვასილ ჩიხრაძე).



ბადრი ჯანიაშვილი.



ფრიდონ ყვავილაშვილი.

კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა საქართველოს კიდევ ერთი წარმომადგენელი — სოხუმელი დანიელ აკოფიანი (65 კგ, მწვრთნელი ვლადიმერ კუვიჩკო), რომელიც საკავშირო სპორტსაზოგადოება „დინამოს" შემადგენლობაში გამოდიოდა. ფინალში აკოფიანმა ოლეგ ბაბანინს (დასავლეთი ზონა, ბარანოვიჩი) მოუგო.

ფინალში საქართველოს ნაკრების კიდევ სამმა წევრმა იასპარეზა, მაგრამ მათ დამარცხებულებმა დატოვეს სარბიელი. მამუკა კურდღელაშვილმა (44 კგ. საგარეჯო) რუდოლფ კიმთან (სამხრეთი ზონა, ბეკაბადი) წააგო ქულებით. 59 კგ წონით კატეგორიაში თბილისელ მორის სუკასიანს მცირე უპირატესობით აჯობა ალექსანდრე ფროსტმა (პროფკავშირები II, სტერლიტამი), დავით ბედიანაშვილს კი (74 კგ, გარდაბანი) იგორ პარასკივოპულომ (რსფსრ, ნოვოკუზნეცკი) მოუგო. სამივე ჩვენმა მოჭიდავემ ვერცხლის მედალი მიიღო.

ბრინჯაოს მედლებისათვის საქართველოს 11 ფალავანი იბრძოდა. მათგან მხოლოდ სამმა შეძლო ჯილდოების მოპოვება. მურთაზ თურქიამ (50 კგ. ფოთი) დიდი უპირატესობით დაამარცხა აგდამელი ბახტიარ აგამიროვი („უროჟაი"). თბილისელმა ალექსანდრე თანდიაშვილმა (68 კგ) სოხუმელ ერვანდ მარტიროსიანს („დინამო") სძლია, „უროჟაის" გუნდის წევრმა გარდაბნელმა მერაბ ტოტიკაშვილმა (59 კგ) — ნოვოკუზნეცკელ ალექსანდრე აშპინს (რსფსრ). „დინამოს" გუნდის შემადგენლობაში ა. ბიძინაშვილის მესამე ადგილი მსაჯებმა შეცდომით გამოაცხადეს, რაც შემდეგ გასწორდა.

**გუნდური შედეგები:** 1. პროფკავშირები I — 154 ქულა; 2. რსფსრ — 146, 3. პროფკავშირები II—132; 4. საქართველო — 130.



მორის სუკასიანი.



მურთაზ თურქია.

### გადამწყვეტი ტურის წინ

**სპორტსკოლების** მოსწავლეთა საკავშირო თამაშების საფეხბურთო ტურნირის IV ტურში, როგორც ვიუწყებოდით, საქართველოს ფეხბურთელებმა ანგარიშით 5:1 დაამარცხეს საბჭოთა არმიის გუნდი. დიდ ინტერესს იწვევდა უკრაინის განათლების სამინისტროსა და საკავშირო პროფკავშირების სპორტსაზოგადოებათა პირველი ნაკრების შეხვედრა. დაძაბული ბრძოლის ნაცვლად მინდორზე სრული უპირატესობა უკრაინელებს ჰქონდათ, რომლებმაც იოლადაც გაიმარჯვეს — 4:0. როგორც მოსალოდნელი იყო, „შრომითი რეზერვების" ნაკრებმა მარცხი იწვნია განათლების სამინისტროს დასავლეთის გუნდთან შეხვედრაში — 0:6.

ბოლო ტურის წინ, რომლის მატჩები დღეს შედგება, **„ა" ჯგუფში** ასეთი მდგომარეობაა:

| | |
|---|---|
| 1. უკრაინის განათლების სამინისტრო — | 7 ქულა |
| 2. საქართველო — | 6 |
| 3. პროფკავშირები I | 6 |
| 4. განათლების სამინისტრო (დასავლეთი) — | 3 |
| 5. საბჭოთა არმია — | 2 |
| 6. „შრომითი რეზერვები" — | 0 |

**რუსთავის ჯგუფში** IV ტურში განათლების სამინისტროს სამხრეთის ნაკრებმა და პროფკავშირების II გუნდმა ფრედ ითამაშეს — 0:0. „დინამომ" დაამარცხა „უროჟაი" — 3:0. სატურნირო მდგომარეობა:

| | |
|---|---|
| 1. რსფსრ-ს განათლების სამინისტრო — | 6 |
| 2. „დინამო" — | 4 |
| 3. განათლების სამინისტროს სამხრეთი ზონა — | 3 |
| 4. პროფკავშირები II | 3 |
| 5. „უროჟაი" | 0 |

დღეს ჯგუფებში ბოლო ტურის შეხვედრებია. თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე 18 საათზე ერთმანეთს შეხვდებიან საბჭოთა არმიისა და „შრომითი რეზერვების" ჭაბუკები, აქვე 19 საათსა და 30 წუთზე ითამაშებენ უკრაინის განათლების სამინისტროსა და სსრ კავშირის განათლების სამინისტროს დასავლეთის ზონის გუნდები.

დიდ ინტერესს იწვევს საქართველოს გუნდის შეხვედრა პროფკავშირების პირველ ნაკრებთან. ეს მატჩი გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სტადიონზე გაიმართება 19 საათზე.

რუსთავის „მეტალურგის" სტადიონზე 18 საათზე ერთმანეთს შეხვდებიან პროფკავშირები II და „უროჟაი", ხოლო 20 საათზე — რსფსრ-ს განათლების სამინისტრო და განათლების სამინისტროს სამხრეთი ზონის ნაკრები.

1 აგვისტოს რუსთავში ითამაშებენ III ადგილის პრეტენდენტები, ხოლო თბილისში, გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სტადიონზე 15 საათზე ერთმანეთს შეხვდებიან „ა" ჯგუფის გამარჯვებული და „ბ" ჯგუფში მეორე ადგილზე გასული, ხოლო 18 საათზე — „ბ" ჯგუფის გამარჯვებული და „ა" ჯგუფში მეორე ადგილზე გასული გუნდი.



### დარჩენილი შეხვედრების იმედად

**სამტრედიაში** ფინალური ტურნირის II ტურში ქართველი ჭაბუკი მოჭადრაკეები კვლავ დამარცხდნენ, ამჯერად უკრაინის ძლიერ გუნდთან. ამ შეხვედრის პირველი ორი შედეგი სავალალო იყო — წააგეს იოსებ კვირიაშვილმა და შოთა კუჭუხიძემ. მართალია, აკაკი იაშვილი მეტოქეს დაუზავდა, რომან სიჭინავამ კი გაიმარჯვა, მაგრამ უკვე ადვილი მისახვედრი იყო, რომ ამ მატჩსაც დავთმობდით. დავით უთმელიძესა და გივი ქორიძეს საყაიმო პოზიციები ჰქონდათ. უთმელიძე დაუზავდა მეტოქეს, ქორიძემ კი გადადო პარტია, რომელშიც ყაიმია მოსალოდნელი.

ამგვარი შედეგების ფონზე უდავოდ გამოირჩევა ჩვენი გუნდის ლიდერის, ცხაკაიელი რომან სიჭინავას თამაში. რომანმა ხუთი შესაძლებლიდან ოთხი ქულა მოაგროვა (3 მოგება, 2 ყაიმი) და ახლა იგი თავის (I) დაფაზე საუკეთესო შედეგის ჩვენებას გვპირდება.

ჯერჯერობით იმდენი პარტიაა გადადებული, რომ ქულების დაჯამება შეუძლებელია. ქართველი მოჭადრაკეები V ადგილზე არიან. წინ კიდევ 2 ტურია.

გოგონათა შორის 5-5 ქულით დაწინაურდნენ საკავშირო პროფკავშირების I და II გუნდები.

## რაც მოსალოდნელი იყო

**თელავში,** მაგიდის ჩოგბურთელთა ტურნირზე მორიგი მატჩები საქართველოს სპორტსმენთა მონაწილეობით ასე დამთავრდა: **გოგონები.** პროფკავშირები II — საქართველო 9:0; საქართველო — „შრომითი რეზერვები" — 5:4, განათლების სამინისტრო (რსფსრ) — საქართველო — 9:0; „უროჟაი" — საქართველო — 7:2.

**ჭაბუკები:** საქართველო—განათლების სამინისტრო (უკრაინა) — 3:6, განათლების სამინისტრო (რსფსრ) — საქართველო 9:0; სამხრეთი ზონა — საქართველო — 4:5; პროფკავშირები II — საქართველო 6:3.

საბოლოოდ საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: **გოგონები.** 1. „დინამო"; 2. განათლების სამინისტრო (რსფსრ); 3. დასავლეთი ზონა. ჩვენმა გოგონებმა მეცხრე ადგილი დაიკავეს.

**ჭაბუკები.** 1. პროფკავშირები I; 2. განათლების სამინისტრო (რსფსრ); 3. განათლების სამინისტრო (უკრაინა). საქართველოს ნაკრები მეშვიდე ადგილზე გავიდა.

## ბათუმში...

**გუშინ** ბათუმში ასპარეზობაში ჩაებნენ მხატვრული ტანვარჯიშის ოსტატები. წინა დღით შემოწმდა თითოეული მონაწილის საერთო ფიზიკური შესაძლებლობები. ნორმატივები ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა ჩინებულად ჩააბარეს და გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს.

საქართველოს ნაკრები კოლექტივი სარბიელზე გამოდის მეორე ცვლაში, რაც ერთგვარ უპირატესობად უნდა ჩაითვალოს. პროგრამაშია მხოლოდ მრავალჭიდი. ყოველდღიურად ნორჩი სპორტსმენები 2-2 სახეობაში იასპარეზებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშები

## პირველი მატჩები

**ხელბურთელთა** შეჯიბრება საკონტროლო ნორმატივების ჩაბარებით დაიწყო. საერთო ფიზმომზადებაში ჭაბუკებს შორის პირველობა მოიპოვა თბილისის 136-ე საშუალო სკოლის მეათეკლასელმა გიორგი ევსეევმა, გოგონებში კი ჩვენი ქალაქის 71-ე სკოლის მეათე კლასის მოსწავლემ ირინა მარტინენკომ მესამე ადგილი დაიკავა.

მსაჯებმა სარბიელზე თავდაპირველად პროფკავშირების II და დასავლეთი ზონის გუნდებს უხმეს. დებულების თანახმად, ყოველი გუნდი შექმნილია ერთი რომელიმე სპორტული სკოლის ბაზაზე და მხოლოდ რამდენიმე მოთამაშე ემატება სხვა სკოლებიდან. პროფკავშირები II ძირითადად (10 მოთამაშე 12-დან) ზაპოროჟიეს ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის სპორტსკოლის მოსწავლეებითაა დაკომპლექტებული, დასავლეთი ზონის შემადგენლობაში კი მოლდაველი, ბალტიისპირელი და ბელორუსი ჭაბუკები არიან. შეხვედრა ორი ბურთის სხვაობით მოიგო დასავლეთი ზონის ნაკრებმა — 26:24 (11:10).

კიევის მახლობლად არის პატარა ქალაქი ბროვარი, რომლის სპორტსკოლამ „უროჟაის" გუნდს 6 მოთამაშე გაუგზავნა. უნდა ითქვას, ბიჭები კარგად „ჩაეწერენ" ნაკრებში — საკმაოდ ძლიერი გუნდი შექმნეს. ყოველ შემთხვევაში პროფკავშირთა გუნდს „უროჟაი" პირველ 10 წუთს უგებდა, მაგრამ მალე ანგარიში გათანაბრდა, ტაიმის დასასრულს კი ტაბლოზე უკვე 11:10 ეწერა პროფკავშირთა გუნდის სასარგებლოდ. დაწინაურებულებმა შეძლეს მატჩის მოგება — 21:20.

სამხრეთი ზონისა და რსფსრ-ის განათლების სამინისტროს გუნდების შეხვედრაში გაიმარჯვეს რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლებმა, რომლებიც მეტოქეზე გაცილებით სწრაფად, გააზრებულად მოქმედებდნენ — 34:20 (15:8).

**გუშინ** გაიმართა მეორე ტურის შეხვედრები: „უროჟაი" — სამხრეთი ზონა — 29:17 (16:5), საბჭოთა არმია — უკრაინის განათლების სამინისტრო — 19:22 (7:13) და რსფსრ-ის განათლების სამინისტრო — საქართველო — 15:15 (7:5).

**გუშინვე** პირველი მატჩები შედგა გლდანის სპორტულ კომპლექსში, სადაც გოგონები ასპარეზობენ: „უროჟაი" — სამხრეთი ზონა — 22:16 (7:7), საქართველო — პროფკავშირები II — 17:20 (9:9), პროფკავშირები I — რსფსრ-ს განათლების სამინისტრო — 23:15 (13:4), უკრაინის განათლების სამინისტრო—დასავლეთი ზონა — 22:11 (10:6).

## კარგი სტარტი, უფერული ფინიში

**გუშინ** ასპარეზობა დაამთავრეს ჭაბუკმა ფრენბურთელებმა. ოქროს მედლებისთვის ბრძოლაში ერთმანეთს შეხვდნენ უკრაინისა და რუსეთის ფედერაციის ფრენბურთელები. მანამდე უკრაინელებმა ნახევარფინალში იოლად დაამარცხეს სამხრეთი ზონის გუნდი — 3:0 (15:6, 15:13, 15:5), რსფსრ-ის სპორტსმენებმა კი დაძაბული ბრძოლა მოუგეს საქართველოს ნაკრებს — 3:2 (13:15, 15:11, 15:4, 10:15, 15:11). ამ მატჩში რსფსრ-ის სპორტსმენებს დიდი ენერგიის დახარჯვა მოუხდათ. ალბათ, ამიტომ ველარ გაუწიეს ღირსეული წინააღმდეგობა უკრაინელ ფრენბურთელებს — 0:3 (12:15, 7:15, 5:15). საკავშირო თამაშების ჩემპიონები გახდნენ უკრაინელი სპორტსმენები. რსფსრ-ის გუნდის წევრები ვერცხლის მედლებით დაჯილდოვდნენ.



მესამე ადგილისთვის ბრძოლაში ერთმანეთის პირისპირ დადგნენ საქართველოსა და სამხრეთი ზონის ფრენბურთელები. ჩვენი ჭაბუკები, ისევე როგორც წინა ორ შეხვედრაში, ვერც ამჯერად გაუმკლავდნენ მეტოქეთა ძლიერ იერიშებს: ხშირად ცდებოდნენ ბურთის მიწოდებისა და მიღებისას, ბლოკირებისას, ზედმეტი ემოციებისგან თავს ვერ იკავებდნენ. ეს შეხვედრა სამხრეთელებმა მოიგეს — 3:0 (15:11, 17:15, 16:14) და კვარცხლბეკის მესამე საფეხურზეც ისინი ავიდნენ.

გუშინ ტურნირი საზეიმოდ დაიხურა.

### მეექვსე ადგილზე

**სოხუმში** ასპარეზობდნენ ფრენბურთელი გოგონები. საქართველოს ნაკრებმა მოუგო სამხრეთი ზონის გუნდს — 3:0, საკავშირო სპორტსაზოგადოება „დინამოს" კოლექტივს — 3:1 და დამარცხდა რსფსრ-ის ნაკრებთან — 0:3, პროფკავშირების I ნაკრებთან — 2:3. გუნდმა ქვეჯგუფში მესამე ადგილი დაიკავა და მეხუთე-მეექვსე ადგილისათვის დასავლეთი ზონის გუნდს შეხვდა. ჩვენმა გოგონებმა ეს მატჩიც წააგეს და საბოლოოდ მეექვსე ადგილზე გავიდნენ.

### საერთო გუნდური ადგილები
(არაოფიციალური ჩათვლა)

| | ქულა |
|---|---|
| 1. პროფკავშირები II | 2882 |
| 2. რუსეთის ფედერაცია | 2833 |
| 3. პროფკავშირები I | 2695,5 |
| 4. „დინამო" | 2372,5 |
| 5. უკრაინა | 1584 |
| 6. სამხრეთი ზონა | 1407 |
| 7. საბჭოთა არმია | 1335,5 |
| 8. დასავლეთი ზონა | 1261,5 |
| 9. საქართველო | 1203 |
| 10. „შრომითი რეზერვები" | 849,5 |
| 11. „უროჟაი" | 554,5 |

**შენიშვნა:** ცხრილში შეტანილია 9 სახეობის (კრივი, სამბო, საგზატკეცილო ველოსპორტი, წყალბურთი, ტანვარჯიში, საბაიდარო ნიჩბოსნობა, მძლეოსნობა, ცურვა, ძალოსნობა) შედეგები.

### მედლები, მედლები

| | ოქრო | ვერცხლი | ბრინჯაო | სულ |
|---|---|---|---|---|
| 1. პროფკავშირები I | 53 | 23 | 29 | 105 |
| 2. რუსეთის ფედერაცია | 31 | 25 | 34 | 90 |
| 3. პროფკავშირები II | 16 | 30 | 28 | 74 |
| 4. „დინამო" | 14 | 21 | 32 | 67 |
| 5. საქართველო | 12 | 9 | 13 | 34 |
| 6. დასავლ. ზონა | 5 | 16 | 12 | 33 |
| 7. უკრაინა | 8 | 11 | 11 | 30 |
| 8. სამხრ. ზონა | 8 | 6 | 11 | 25 |
| 9. საბჭოთა არმია | 7 | 10 | 6 | 23 |
| 10. „უროჟაი" | 6 | 3 | 10 | 19 |
| 11. „შრომითი რეზერვები" | 4 | 4 | 4 | 12 |

## რას წერენ თამაშების ორგანიზაციაზე




**სპორტული** სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშების გასაშუქებლად ჩვენს რესპუბლიკაში ბევრი ჟურნალისტი ჩამოვიდა. ისინი ოპერატიულად გადასცემენ მასალებს თავიანთ რედაქციებს, მიუთითებენ თამაშების ორგანიზაციის მაღალ დონეზე, გულღია მასპინძლობაზე, ხაზგასმით აღნიშნავენ ნორჩი სპორტსმენების თვალსაჩინო შედეგებს. დღეს გთავაზობთ თამაშებზე გაზეთ „ფიზკულტურნიკ ბელორუსიის" სპეციალური კორესპონდენტის ევგენი ვერინის რეპორტაჟის შესავალს. რეპორტაჟი გამოქვეყნდა სათაურით „ძლიერისა და ამაყის უფლება".

„ჯერ კიდევ არ წაშლილა ჩვენს მეხსიერებაში წლევანდელი ზამთრის მიწურულსა და გაზაფხულის დასაწყისში მომხდარი ამბები. მთელი ქვეყანა განიცდიდა იმ დღეებში მოძმე საქართველოს ტრაგედიას, სადაც თავისი მასშტაბითა და შედეგით არნახული სტიქიური უბედურება დატრიალდა. არავის გაუკვირდებოდა, რომ ამ პირობებში საქართველოს განათლების სამინისტროსა და სპორტსახკომს უარი ეთქვა სპორტსკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშების მასპინძლობაზე. რესპუბლიკას ჰქონდა ამის მორალური უფლება, მაგრამ უფრო ძლიერი აღმოჩნდა მოვალეობისა და პასუხისმგებლობის გრძნობა და, რა თქმა უნდა, გრძნობა სიამაყისა, რითაც საქართველოში მცხოვრები ყველა ეროვნების ადამიანი გამოირჩევა.

და აი, თბილისი და ბათუმი, ქუთაისი და სოხუმი, ცხინვალი და ხობი, სამტრედია და ფოთი, რუსთავი, თელავი და გორი სიხარულით ხვდებიან ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან ჩამოსულ ჭაბუკ სპორტსმენებს. მათ განკარგულებაშია ამ ქალაქების საუკეთესო სპორტული ბაზები, მათთვის შექმნილია ყველა პირობა დასვენებისა და გართობისათვის. მაგალითად, ბელორუსი სპორტსმენები, რომლებიც საკავშირო განათლების სამინისტროს სამხრეთის ზონაში შედიან, ცხოვრობენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომფორტულ, კეთილმოწყობილ საერთო საცხოვრებელში.

განა შეიძლება, ასეთ გულღია მასპინძლობას კარგი შედეგებით არ უპასუხო? ჩანს, ბრძოლები დაძაბული იქნება: ამ თამაშებზე, რომელშიც ექვსი ათასამდე მოსწავლე მონაწილეობს, სუსტი მეტოქეები არ არიან".

### თამაშები და ორგანიზატორები

## შეფერხებები გამორიცხულია

**რამდენი** სამსახურია ჩართული სპორტული სკოლების მოსწავლეთა თამაშების ჩატარების ორგანიზაციაში? ყველას ჩამოთვლა ალბათ შეუძლებელია. გაგაცნობთ მხოლოდ მთავარს.

თამაშებს ხელმძღვანელობენ საორგანიზაციო კომიტეტი და ორი შტაბი, რომელთაგან ერთი საქართველოს სპორტსახკომშია, მეორე — განათლების სამინისტროში. შტაბებია შექმნილი აგრეთვე საქართველოს პროფსაბჭოში, საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში და თბილისის საქალაქო კომიტეტში. თამაშებს უძღვება მთავარ მსაჯთა კოლეგია და მთავარი სამდივნო, მუშაობს მთავარი პრესცენტრი და 25 სუბპრესცენტრი. ყველგან, რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში, სადაც შეჯიბრებები ტარდება, შექმნილია ადგილობრივი შტაბები, ყველა გუნდზე მიმაგრებულია საშეფო კომკავშირული და შესაბამისი სპორტული ორგანიზაციები. თამაშების მაღალ ორგანიზაციულ დონეზე ჩატარებაში ჩართული არიან ცალკეული სამინისტროები, უწყებები და ორგანიზაციები, კონკრეტულად პასუხისმგებელი პირები განაგებენ სტუმრების მიღება-დაბინავებას, დასვენების ორგანიზაციას, კვებას, უკან გამგზავრებას, ასპარეზობისთვის სპორტული ბაზების მომზადებას, შეჯიბრებების საზეიმო გახსნას და ა. შ. მაინც რომელ სამსახურს უჭირს ყველაზე მეტად? ვიკითხეთ მთავარ მსაჯთა კოლეგიაში, რომელიც ფაქტობრივად ყველა სამსახურის ეფექტიანობის ერთგვარი ბარომეტრია. იმას, რომელსაც მონაწილეთა უკან გამგზავრების მოგვარება ევალებაო, გვიპასუხეს.

ვესაუბრებით სპორტული დელეგაციების მიღების, დაბინავების, კვებისა და შეჯიბრებათა დამთავრების შემდეგ მონაწილეთა უკან გამგზავრების სამსახურის ხელმძღვანელს. საქართველოს სპორტსახკომის სპორტუზრუნველყოფის სამმართველოს უფროსს გურამ მამულაშვილს.

— გაჭირვებით არაფერი არ გვიჭირს. ყველა ძალიან გვეხმარება, ოღონდ მუშაობა გაგვირთულა იმან, რომ გაცილებით მეტი სტუმარი ჩამოდის, ვიდრე ნავარაუდები იყო. ხომ იცით, ზაფხული შვებულებებისა და არდადეგების პერიოდია. გარდა ამისა, როგორც წესი, ყველა დელეგაცია უნდა ჩამოსულიყო უკან დასაბრუნებელი ბილეთებით (ეს დებულებაშიც ეწერა). მაგრამ ბევრმა საკითხი შინ არ მოაგვარა და... საქართველოს საავიაციო სამსახური ყველა ღონეს ხმარობს, რომ ოპერატიულად გაგვიმართოს ხელი. თბილისიდან 30 ივლისს ტაშკენტში გაფრინდება დამატებითი თვითმფრინავი, ამ დღეებში ასობით უბილეთოდ დარჩენილისთვის გამოგვიყვეს ადგილები ისევ ტაშკენტისა და მოსკოვის ოთხ რეისზე, ასევე შეუფერხებლად გზავნიან სტუმრებს სოხუმიდან, ბათუმიდან, ქუთაისიდან.

**გუშინ მთავარ პრესცენტრს ეწვივნენ მოძმე უზბეკეთის დელეგაციის ხელმძღვანელები და ჟურნალისტებს სთხოვეს მათი სახელით უდიდესი მადლობა გადასცენ რესპუბლიკის სპორტსახკომს, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ხელმძღვანელობას დელეგაციის საზრუნავის გაზიარებისა და პრაქტიკული დახმარების აღმოჩენისათვის.**

### 213 კვარცხლბეკი

**მძლეოსნობა**

გოგონები. მრავალჭიდი № 1 (60 მ + 100 მ + 200 მ). ი. ალექსეიჩუკი (პროფკავშირები I, 7,4+12,4+24,9) — 2198; 2. ე. გორნოვა (განათლების სამინისტრო, რსფსრ, 7,5+12,1+25,1) — 2197; **3. დ. ხუბაშვილი (თბილისი, 7,5+12,1+25,4) — 2164.... 19. ი. წულუკიძე (თბილისი) — 1574.**

**ჭაბუკები. მრავალჭიდი № 6 (110 მ. თარჯრბენი+300 მ. თარჯრბენი+200 მ). 1. ვ. ბობილიოვი (ბათუმი, 14,8+40,4+23,4) — 1808 ქულა;** 2. მ. ნაზაროვი (განათლების სამინისტრო, რსფსრ) — 1735; 3. ი. იარემჩუკი (განათლების სამინისტრო, უკრაინა) — 1725.

**მრავალჭიდი № 2 (100 მ+200 მ+300 მ). 1. ლ. ფიტოზოვი (სოხუმი, 11,0+36,1+51,2) — 1745;** 2. ს. ვიცინტიუ — 1596; 3. ე. ბარაბაში (როვე — განათლების სამინისტრო, რსფსრ) — 1567.

**მრავალჭიდი № 10 (სიგრძე+სიმაღლე+60 მ).** 1. ვ. დულკევიჩი (პროფკავშირები I, 6,61+1,86+7,1) — 2201 ქულა; **2. ი. ვორონოვი (თბილისი, 6,61+1,75+7,1) — 2183;** 3. ა. შურშოვი („დინამო", 6,33+186+7,2) — 1990... 10. ა. ბოლქვაძე (თბილისი) —1687.

**მრავალჭიდი. № 13 (ბირთვი+ბადრო+60 მ).** 1. ვ. დუბროვიკი (დასავლეთი ზონა, 16,8+53,66+7,5) — 2243; 2. ა. ვოლკოვი — 2032, 3. ა. კოლოდიაჟნი (როვე— განათლების სამინისტრო, რსფსრ) — 1690... 9. შ. ჯიბლაძე (ხაშური) — 1464; 10. კ. ბლიაძე (მახარაძე) — 1421.

### რეპლიკა

## სირცხვილია... მშობლებო

სპორტული სკოლების მოსწავლეთა თამაშების პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები უნაკლოდ ტარდება და [illegible] სამდურავი არავის გამოუთქვამს. უდავოა, ეს ყველა სამსახურის რიტმული მუშაობის შედეგი [illegible] თითოეული მუშაკის დამსახურება გახლავთ. მაგრამ ზოგიერთ შეჯიბრებაზე თვალსა და ყურს ისეთი რამ ხვდება, რასაც არავითარი კავშირი არა აქვს შეჯიბრების ორგანიზაციასთან. მაყურებლებზე მოგახსენებთ, უფრო სწორად, არა სპორტის ჭეშმარიტ გულშემატკივარზე, არამედ მაყურებელთა [illegible] რის ტრიბუნებზე მოკალათებულ მშობლებზე, რომლებიც, არ მოვერიდებით ამ გამოთქმას, პირდაპირ სამარცხვინოდ იქცევიან. განსაკუთრებით ეს სპორტულ თამაშებში გამართული შეჯიბრებისას ხდება. კონკრეტულად [illegible] გვაქვს მხედველობაში? ვინც [illegible] დღეებში თბილისში ფეხბურთელთა და ფრენბურთელ ვაჟთა შეხვედრებს ესწრება, უთუოდ გახდებოდა მშობლების უტაქტო საქციელის მოწმე. ბევრი ტრიბუნიდან უკარნახებს შვილს, როგორ ითამაშოს, აძლევს შენიშვნებს, უჯავრდება კიდეც შეცდომებისთვის, უცერემონიოდ ერევა მწვრთნელის ფუნქციებში, აპროტესტებს მსაჯთა გადაწყვეტილებას, ირგვლივ მყოფთ კი ხასიათს უფუჭებს. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, როგორც ფეხბურთელებს, ისე ფრენბურთელებს, მშობლების კარნახმა და შენიშვნებმა დაუჩლუნგა კოლექტიური თამაშის გრძნობა (ყოველი მშობელი ხომ შვილისაგან მოითხოვს უკეთ ითამაშოს, სხვისაგან გამოირჩეოდეს), საბოლოო ჯამში კი ეს შედეგზე მოქმედებს — მწვრთნელის ჩანაფიქრი და დარიგება მიზანს ვე[ღარ] აღწევს (თამაშის დროს მწვრთნელი ემოციებს არ უნდა აჰყვეს, მშობლებს კი ამისთვის არავინ სჯის). გამოდის, რომ თამაშს მართავენ მშობლები და არა მწვრთნელი. არაფერს ვაჭარბებთ. ეს მეტწილად ასეა. ჩვენს გაზეთს ამ საკითხზე არაერთხელ გაუმახვილებია ყურადღება, მაგრამ სახიკეთო ცვლილება არ იგრძნობა, არადა, ამდაგვარი ვაიგულშემატკივრობა ეპიდემიად იქცა.

კიდევ ერთი: რატომ ვერ ვახერხებთ საქმის ისე მოწყობას, რომ ნორჩების შეჯიბრებებს მათი თანატოლი ბავშვები ესწრებოდნენ? ნამდვილი გულშემატკივრობა ხომ ასე სჭირდება ყველა გუნდს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნინ მიიწევს

**იუგოსლავიის** ქალაქ სმედერევსკა-პალანკაში მიმდინარე მოჭადრაკე ქალთა საზონათშორისო ტურნირზე, მეათე ტურში, მსოფლიოს ექსჩემპიონმა ნონა გაფრინდაშვილმა პირველი დამარცხება აგემა ლიდერს მარტა ლიტინსკაიას. ,იდევ ორი საბჭოთა მოჭადრაკის ზოია ლელჩუკისა და ირინა ლევიტინას შეხვედრა გადაიდო.

გთავაზობთ IX ტურის რამდენიმე პარტიის შედეგს: კლიმოვა — ვოისკა — 1:0, არკელი — ფენი — 1:0, მადლი — ჩავესი — 1:0, არმასი — მინციანის პარტია გადაიდო.

ნინა იზრაილოვასა და ალისა კლიმოვას გადადებული პარტია ყაიმით დასრულდა.

ამრიგად, 10 ტურის შემდეგ ლიდერობენ: მარტა ლიტინსკაია — 8 ქულა, ნინა იზრაილოვა (აშშ), ალისა მარიჩი (იუგოსლავია) — — 7,5-7,5 ნონა გაფრინდაშვილი — 7.

# ორი ლიდერი

**იუგოსლავიის** ქალაქ ტუზლაში მიმდინარე მოჭადრაკე ქალთა საზონათშორისო ტურნირზე მეხუთე ტურში გადადებული პარტია აგნეშკა ბრუსტმანმა (პოლონეთი) მოუგო ზირკი ფრომეტას (კუბა) და ნანა იოსელიანს დაეწია.

ეხლა, 8 ტურის შემდეგ, ორივე მოჭადრაკეს 7-7 ქულა აქვს. მათ კვალში მიჰყვებიან ქეთევან არახამია, ლიდია სემიონოვა და გულნარა სახატოვა (6-6 ქულა).

# კობაიძემ სძლია ჩელუშკინას

**გაცნობებთ** ირკუტსკში მიმდინარე საკავშირო პირველობის ნახევარფინალური ტურნირის VII, VIII, IX ტურების შედეგებს.

**VII ტური.** პოლნარიოვამ მოუგო კობაიძეს, სონმა — ტიმოშჩენკოს, კოგანმა — მედვედევას, ჩელუშკინამ — იურიევას. ყაიმით დამთავრდა კახიანი — ხოროვეცის, ასეევა — რუბცოვას და ლომაკინა — დომკუტეს პარტიები.

**VIII ტური.** ჩელუშკინამ მოუგო სონს, კობაიძემ — ტიმოშჩენკოს, ასეევამ — მედვედევას, ხოროვეცმა — ლომაკინას. იურიევა დაუზავდა დომკუტეს, კახიანი — რუბცოვას, პოლნარიოვა — კოგანს.

**IX ტური.** კახიანმა დაამარცხა მედვედევა, კოგანმა — ტიმოშჩენკო, ლომაკინამ—რუბცოვა, კობაიძემ — ჩელუშკინა. ყაიმით დამთავრდა სონი — იურიევას, ასეევა — პოლნარიოვას და დომკუტე — ხოროვეცის პარტიები.

9 ტურის შემდეგ 6,5 ქულით ლიდერობს ჩელუშკინა, 6 ქულით II ადგილზეა ლომაკინა. ქეთევან კახიანს 5,5 ქულა აქვს, ციური კობაიძეს — 4,5.

# ბელიავსკი არ ხუმრობს

**უნგრეთის** ქალაქ სირაკში მიმდინარე მოჭადრაკე ვაჟთა საზონათშორისო ტურნირზე გაიმართა მეცხრე ტურის შეხვედრები. ალექსანდრე ბელიავსკიმ დაამარცხა ჯილბერტო მილოში (ბრაზილია). ეხლა მას 6,5 ქულა და ერთი, ულფ ანდერსონთან (შვეცია) გამოტოვებული პარტია აქვს. გაიმარჯვა ვალერი სალოვმაც. მან ამერიკელ ლარი ქრისტიანსენს სძლია.

დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: ნანი — ტოდორჩევიჩი — 1:0, ველიმიროვიჩი — ფლიერი — 1:0, ჰიარტარსონი — მარინი— 1:0, ალენი — ბენჯამინი— 0:1, ვილა — ადორიანი — 0,5:0,5, ბუაზისი — ანდერსონი —0,5:0,5.

ლაიოშ პორტიშისა (უნგრეთი) და ლიუბომირ ლიუბოევიჩის (იუგოსლავია) პარტია გადაიდო.

ამრიგად, 9 ტურის შემდეგ ლიდერობენ ალექსანდრე ბელიავსკი — 6,5 (1), ჯონათან ნანი (ინგლისი), ვალერი სალოვი, იოჰან ჰიარტარსონი (ისლანდია) — 6-6.

## გამარჯვების იუბილე







# ყველაზე დიდი წარმატება

**ჟენევა—თბილისი თუ ჟენევა—მადრიდი. ეს სამი ქალაქი მაშინ, ოცდახუთი წლის წინათ, ყველას პირზე ეკერა. რომელ მარშრუტს „აირჩევდა“ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი კალათბურთში და სად დაიდებდა ბინას: მადრიდში თუ თბილისში?**

ჟენევა რაღა შუაში იყო? რატომ მიენიჭა ამ ქალაქს ესოდენ დიდი უპირატესობა, როცა ყველა ადრინდელი გათამაშების ფინალს გუნდები შინ და მეტოქის მოედანზე ატარებდნენ? ან რატომ გადაწყდა ფინალში მხოლოდ ერთი მატჩის ჩატარება?

ეს უპრეცედენტო გადაწყვეტილება იმდროინდელი პოლიტიკური ვითარებით იყო გამოწვეული. ფრანკოს რეჟიმი დიდხანს და ჯიუტად უშლიდა ხელს საბჭოთა და ესპანელი სპორტსმენების ნებისმიერ კონტაქტს. კალათბურთის საერთაშორისო ფედერაცია საგონებელში იყო ჩავარდნილი და რომ გადამწყვეტი შეხვედრა არ ჩაშლილიყო, კომპრომისზე წავიდა. ჟენევა? სხვა გამოსავალი თუ არ არის, იყოს ჟენევა!

მას შემდეგ მეოთხედი საუკუნე გავიდა, მაგრამ დინამოელთა ჩამოსვლა თბილისში, გულშემატკივართა სიხარული და ზეიმი დღევანდელ დღესავით გვახსოვს. ეს ინტერვიუც თბილისელთა უფროს მწვრთნელს ოთარ ქორქიას მაშინ ჩამოვართვით. დღეს იგი ფინალური მატჩის სტენოგრამას კომენტარის სახით დავურთეთ.

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის V გათამაშება დაიწყო 1961 წლის 18 ნოემბერს და 1962 წლის 29 ივნისს დასრულდა ჟენევაში. ფინალამდე მეტოქეებმა საკმაოდ რთული გზა განვლეს. „დინამო“: რუმინეთის ცკა 77:76 და 82:77, თურქეთის „დარუშაფაკი“ 80:67 და 84:48, მოსკოვის ცსკა 75:71 და 77:66. „რეალი“: მაროკოს სკ „კასაბლანკა“ 84:46 და 82:38, იტალიის „ინისი“ 80:82 და 83:62, პოლონეთის „ლეგია“ 62:73 და 100:71, იუგოსლავიის „ოლიმპია“ 88:87 და 90:56. როგორც ხედავთ, „რეალს“ კენჭისყრით ერთით მეტი თამაშის ჩატარება მოუხდა.

**ო. ქორქია: ფინალის წინ „რეალის“ ხელმძღვანელობა ოპტიმისტურად იყო განწყობილი. მათი აზრით, ცსკა-ს დამარცხების შემდეგ ესპანელებს არაფერი შეუშლიდათ ხელს. ასეთი განწყობით მოვიდნენ ჩვენს პირველ ვარჯიშზე, მაგრამ შინ მოწყენილები დაბრუნდნენ. ყველაზე მეტად ანზორ ლეჟავას ნახვამ დააფიქრათ.**

**მატჩამდე გადასაწყვეტი იყო ერთი პრობლემა — როდის უნდა გვეთამაშა. ჩვენ 30 ივნისი გვაძლევდა ხელს, მაგრამ საერთაშორისო ფედერაციის გენერალური მდივანი გაჯიუტდა: ორჯერ გადავდეთ თამაში და მესამედ თარიღის შეცვლა შეუძლებელიაო. მეტი გზა არ იყო — 29 ივნისზე დავთანხმდით.**

თამაში გუნდებმა ასეთი შემადგენლობით დაიწყეს: „დინამო“— გურამ მინაშვილი, ვლადიმერ უგრეხელიძე, ანზორ ლეჟავა, ვალერი ალთაბაევი და ილარიონ ხაზარაძე. „რეალი“—ქოზე ლუისი, ემილიანო როდრიგესი, კარლოს სევილიანო, უეინ ჰაიტაუერი და სტენლი მორისონი.

**ო. ქორქია: მეტოქე უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე გვეგონა. განსაკუთრებით გამოირჩეოდა ამერიკიდან ჩამოყვანილი 21 წლის ზანგი ჰაიტაუერი. იგი შესანიშნავად ისროდა კალათში, ხტებოდა მაღლა, რაშიც ხელს სიმაღლეც უწყობდა — 2 მეტრი და 5 სანტიმეტრი. ჩვენთვის უცხო აღმოჩნდა ჰაიტაუერის თამაშის მანერა. ასეთი კალათბურთელები, ჩვეულებრივ, ცენტრალური თავდამსხმელის ადგილზე თამაშობენ, ის კი მაღალი კლასის გარემარბის თვისებებსაც ავლენდა: დაცვაში იდგა როგორც სალი კლდე და თავისი ფარის უსაფრთხოებას კბილებით იცავდა. ასეთი ზანგის ჩამოყვანა ამერიკიდან მართლაც რომ ღირდა.**

**პირველი წუთები.** „დინამო“ ალთაბაევის ორი სროლის შემდეგ დაწინაურდა — 4:0. განსაკუთრებით ოსტატურად დაუძვრა იგი მორისონს მეორე შეტევის დროს. სასტარტო მღელვარებამ გაიარა.

**ო. ქორქია: მეორე ამერიკელი ზანგის სტენლი მორისონის როლი ჩემთვის ბოლომდე გაუგებარი დარჩა. ან კი რაში სჭირდებოდა ასეთი მაღალი კლასის გუნდს ეს საშუალო დონის ზანგი მოთამაშე? მორისონი მხოლოდ იმით იქცევდა ყურადღებას, რომ 21 წლისა იყო და საკმაოდ ტანმაღალი — 2 მეტრი და 2 სანტიმეტრი. ჩემთვის რომ ეკითხათ, მის ჩამოსაყვანად ამერიკიდან მანეთსაც არ გავიმეტებდი, მაგრამ ესპანელთა მწვრთნელს, როგორც ჩანს, თავისი მოსაზრება ჰქონდა.**

**მესამე წუთი.** ხაზარაძის, ლუისის, ჰაიტაუერისა და როდრიგესის სროლების შემდეგ ანგარიში გათანაბრდა — 6:6.

**ო. ქორქია: „რეალის“ სხვა მოთამაშეებიდან გამოირჩეოდნენ ლუისი (კაპიტანი), სევილიანო და როდრიგესი, სამივე — ესპანელი, სამივე — უმაღლესი კლასის კალათბურთელი.**

**მეხუთე წუთი.** ესპანელები დაწინაურდნენ — 12:8, მაგრამ ლეჟავასა და მინაშვილის ზუსტი სროლების შემდეგ წონასწორობა ისევ აღდგა — 14:14.

**ო. ქორქია: „რეალი“ უჩვეულოდ მაღალ ტემპში თამაშობდა, ესპანელთა აზარტი და მონდომება ხშირად თავდავიწყებამდეც მიდიოდა, მაგრამ ბრძოლა პირველიდან ბოლო წუთამდე უაღრესად კორექტული იყო.**

**მეცხრე წუთი.** უგრეხელიძის ნაცვლად მოედანზე სათამაშოდ ალექსანდრე კილაძე გამოდის. „დინამო“ 3 ქულით დაწინაურდა —19:16.

**ო. ქორქია: ესპანელთა მიერ შემოთავაზებულ ტემპს თავიდან ავყევით: ელვისებური კომბინაციები, ზესწრაფი გადაცემები და ზუსტი სროლები წარმოუდგენელ ეფექტს ქმნიდა. ყოველ შეტევას ტრიბუნები ტაშით ხვდებოდნენ.**

**მეცამეტე წუთი.** „რეალს“ ანგარიში ერთი ქულით მიჰყავს. მინაშვილის ზუსტი სროლის შემდეგ კი წინ ისევ ჩვენ ვართ — 25:24. ხაზარაძის ნაცვლად მოედანზე ლევან მოსეშვილი შემოდის.

**ო. ქორქია: მოვლენები ჩვენი ვარაუდის მიხედვით ვითარდებოდა. ეგ იყო, სრული სიმშვიდისათვის ქულების მეტი მარაგი გვჭირდებოდა, რომ უკან აღარ დაგვეხია. ეს ჩვენს დინამოელებს წესად ჰქონდათ.**

**მეოცე წუთი.** ჰაიტაუერი რამდენიმე შეტევას წარმატებით აგვიგერიებს. იგი ამ დღეს თავის გუნდში მართლაც უძლიერესია. პირველ ტაიმს „დინამო“ 2 ქულით იგებს — 38:36.

**ოცდამესამე წუთი.** ამ სამ წუთში ბევრი რამ მოხდა. თბილისელთაგან განსაკუთრებით აქტიურია უგრეხელიძე — ორჯერ მოათავსა ბურთი კალათში. მერე ანგარიშს მორიგეობით ზრდიან ლეჟავა, კილაძე, მინაშვილი. გულხელდაკრეფილი არც ესპანელები არიან — 48:48.

**ო. ქორქია: უნდა გენახათ, რა ხდებოდა ამ დროს ტრიბუნებზე. გულშემატკივრები ბორგავდნენ, ღელავდნენ და თამაშის გიჟურ რიტმს ანგარიშმიუცემლად მიჰყვებოდნენ. ბრძოლამ კულმინაციას მიაღწია.**

**ოცდამეცამეტე წუთი.** როგორც იქნა „დინამომ“ 4-ქულიანი უპირატესობა მოიპოვა — 70:66 და თბილისელთა მწვრთნელმა მაშინვე ტაიმ-აუტი აიღო..

**ო. ქორქია: ჩვენი ამოცანა იმ მომენტში ტემპის შენელება იყო. წუთშესვენებაც იმიტომ ავიღე, რომ ეს ყველაფერი ბიჭებისთვის მეთქვა.**

**ოცდამეთექვსმეტე წუთი.** რამდენად სწორი იყო დინამოელთა გადაწყვეტილება, ეს მომდევნო სამმა წუთმა ცხადყო. ჩვენი გუნდი 13 ქულით დაწინაურდა — 83:70, ეს უკვე გამარჯვების ნიშანი იყო.

**ო. ქორქია: ასეთ უპირატესობას რომ ხელიდან აღარ გავუშვებდით, ყველა მიხვდა. მიხვდნენ ესპანელებიც და მომეჩვენა, რომ ბედს შეეგუენ. ყოველ შემთხვევაში, თამაშის დამთავრებამდე განსაკუთრებული არაფერი მოუმოქმედებიათ.**

**მეორმოცე წუთი.** მატჩის ბედი პრაქტიკულად გადაწყვეტილი იყო. თბილისის „დინამოს“ გამარჯვებას წერტილი მოსეშვილმა და ინწკირველმა დაუსვეს — 90:83.

**ო. ქორქია: თამაშის შემდეგ საერთაშორისო ფედერაციის გენერალურმა მდივანმა უილიამ ჯონსმა განაცხადა: ასეთი ფინალი 15 ათასი დოლარი ნამდვილად ღირდაო. ამ ნათქვამის აზრს მაშინ ვერ ჩავწვდი. მერე აგვიხსნეს რაში ყოფილა საქმე. ამ თანხით დაჯარიმდა თურმე ესპანეთის კლუბი იმის გამო, რომ ფრანკოს მთავრობამ უარი თქვა ჩვენს ჩასვლაზე ესპანეთში და თავისი გუნდის საბჭოთა კავშირში გამოგზავნაზე.**

**პირველი წუთები მატჩის შემდეგ.** გახარებულმა თბილისელებმა ძვირფასი ჯილდო ჩაიბარეს და მეტოქეს ლამაზი და კორექტული თამაშისათვის მადლობა გადაუხადეს. ამ ჯენტლმენურმა ჟესტმა მოხიბლა მაყურებელი. ისინი დიდხანს არ უშვებდნენ გუნდს გასახდელში და დაუსრულებლად ერთსა და იმავე სიტყვას იმეორებდნენ: „დინამო“! „დინამო“! „დინამო“!...

**ო. ქორქია: თამაში მართლაც დიდებული სანახავი იყო. მაგრამ მე, როგორც მწვრთნელს, სხვა რამ მაღელვებდა. ჩვენთვის მთავარი ფინალური მატჩის მოგება იყო, საპატიო ჯილდო ჩვენს ქვეყანაში უნდა დაგვეტოვებინა. რომ მკითხოთ, ვინ თამაშობდა ყველაზე კარგადო, ერთს ან ორ მოთამაშეს ვერ დავასახელებ. ყველა ერთნაირი მონდომებით სჭედდა ამ გამარჯვებას. და მაინც მინდა გავიხსენო გურამ მინაშვილი, რომელიც გუნდის ნამდვილი კაპიტანი და თამაშის სულისჩამდგმელი იყო.**

* * *

**ეს ფოტოები ფინალური ბრძოლის მომენტებს არ ასახავენ. უბრალოდ, ისინი გადაღებულია დინამოელთა 1962 წლის სხვა შეხვედრების დროს. ოღონდ მათზე ჟენევის დაუვიწყარი მატჩის სამი მოქმედი პირია აღბეჭდილი, ისინი, ვინც გუნდის სხვა წევრებთან ერთად ამ გამარჯვების აქტიური მონაწილენი იყვნენ: მარცხნივ — გურამ მინაშვილი, შუაში — ვლადიმერ უგრეხელიძე და მარჯვნივ — ანზორ ლეჟავა.**

## სსრ კავშირის ჩემპიონატი 50

**გუშინ** შედგა სსრ კავშირის 50-ე საფეხბურთო ჩემპიონატის მე-19 ტურის მატჩები.

საქართველოს ორივე გუნდი სტუმრად გამოდიოდა. თბილისის დინამოელებმა ალმა-ათაში ითამაშეს „ქაირათთან“. მატჩი დამთავრდა ალმაათელთა გამარჯვებით — 3:0.

ლანჩხუთის „გურია“ ლენინგრადში შეხვდა „ზენიტს“. თამაშის შედეგია 1:0 ლენინგრადელთა სასარგებლოდ.

ტურის სხვა შედეგები:

**„დნეპრი“ — „ტორპედო“ 1:0**

**„შახტიორი“ — „მეტალისტი“ 3:1**

**„დინამო“ მ. — „დინამო“ კ. 0:0**

**„ჟალგირისი“ — „ნეფთჩი“ 1:1**

**„დინამო“ მნ. — „არარატი“ 3:1.**

28 ივლისს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების 23-ე ტურის მატჩები.

**„დინამო“ (ბათუმი) — „გეოლოგი“ (ტიუმენი) 4:1 (1:1).**

**ბათუმი. „დინამოს“ სტადიონი.**

**„დინამო“: ბალაძე, გოგიტიძე, თორდაშვილი, დურდიაძე, ჩიქოვანი, ზედანია, კიკლიაშვილი (ქობელაშვილი), ათუაშვილი (ანდღულაძე), ბარათაშვილი, გორგილაძე, მაისურაძე (მენაბდე).**

**„გეოლოგი“: პროხოროვი, ბოგაჩოვი (ცედინი), პოდპალი, პეტრუხინი, ნიკიფოროვი, ილინი, ფეოქტისტოვი, უმაროვი, ხოხლოვი (ზარვა), მირნი, სიდოროვი.**

**მსაჯი ლ. ბალიკინი (ხარკოვი).**

ტიუმენის გუნდში რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელი თამაშობს, ამის მეოხებით ლიგის დებიუტანტს 23-ე ტურისთვის საკმაოდ კარგი სატურნირო მდგომარეობა ჰქონდა, ბათუმის დინამოელებს კი, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ უხდებათ ფიქრი ლიგაში დარჩენაზე.

მასპინძლებმა სწრაფად, ტემპიანად დაიწყეს თამაში და რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს მეტოქის კართან, იერიშებში მონაწილეობდნენ დაცვითი ხაზების ფეხბურთელებიც. „გეოლოგის“ კარის შტურმი კარგა ხანს გაგრძელდა, მაგრამ საბოლოო დარტყმები უზუსტო იყო, სამაგიეროდ, ნიკიფოროვმა ერთ-ერთი კონტრშეტევის დროს ისარგებლა მეტოქის დაცვაში დაშვებული შეცდომით და გახსნა ანგარიში.

ამ ეპიზოდის შემდეგ ორიოდე წუთიც არ იყო გასული, რომ დინამოელებმა კარგად გაითამაშეს კომბინაცია, გოგიტიძემ ბურთი გადასცა ზედანიას, მან გორგილაძეს და ამ უკანასკნელმა ანგარიში გაათანაბრა — 1:1.

შესვენების შემდეგ თამაში მასპინძელთა სრული უპირატესობით მიმდინარეობდა, 64-ე წუთზე მენაბდემ შორი მანძილიდან მეტად ეფექტური გოლი გაიტანა, მცირე ხნის შემდეგ კი ბარათაშვილმა ზედიზედ ორჯერ აიღო მეკარე პროხოროვის კარი — 4:1.

**ოთარ მურვანიძე.**
**(„ლელოს“ საკ. კორ).**

**„ტორპედო“ (ქუთაისი) — „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) 2:2 (1:1).**

**ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი.**

**„ტორპედო“: მიქაძე, პაპავა, თევზაძე, ჭელიძე, ციკარიშვილი, ბზიკაძე, ბიგვავა, მანაგაძე, ტყავაძე, ხარაბაძე (ხუნდაძე), გოგელიძე (ფრუიძე).**

**„კრ. სოვეტოვი“: კახიანი, გალიულოვი, პოპოვი, გრიცენკო, კოჩერგინი, სოროკინი (ტიმოფეევი), მახლოვი, სოჩნოვი, გალიამინი, ვორობიოვი (ლაგუტინი), მინაჩევი (შარიპოვი).**

**მსაჯი ტ. ბეზუბიაკი (ლენინგრადი).**

თამაში საკმაოდ ნელ ტემპში, დუნედ დაიწყო. შემდეგ სტუმრებმა გააძლიერეს შეტევა, გალიულოვმა კარისკენ დაარტყა, ბურთი ტორპედოელთა ერთ-ერთ მცველს მოხვდა, მიმართულება შეიცვალა და ბადეში აღმოჩნდა — 1:0. გაშვებული ბურთის შემდეგ ქუთაისელებმა საგრძნობლად გააძლიერეს თამაში, მე-17 წუთზე მათი შემტევი ფეხბურთელი ტყავაძე უხეშად წააქციეს სტუმართა მცველებმა, რისთვისაც მსაჯმა 11-მეტრიანი დანიშნა. ჭელიძემ ზუსტად დაარტყა მიზანში — 1:1.

საგრძნობლად გამწვავდა ბრძოლა შესვენების შემდეგ, ქუთაისელთაგან აქტიურობდნენ ნახევარმცველები, განსაკუთრებით ბიგვავა. სწორედ მან შეძლო 57-ე წუთზე მეორე ბურთის გატანა, მაგრამ ტორპედოელებმა ვერ შეინარჩუნეს გამარჯვება, მეორე საპასუხო ბურთი მიიღეს პოპოვისგან (პენალტი) და მეტად საჭირო ქულა დაკარგეს.

ცხადია, ქუთაისელ ფეხბურთელებს უკეთ შეუძლიათ თამაში, ამიტომ მათ თავგამოდებით უნდა იბრძოლონ თავიანთი მოკრძალებული ქულათა მარაგის შესავსებად.

**თამაზ ხარაბაძე.**
**(ტელეფონით, „ლელოს“ კორ.).**

### სხვა მატჩები

23-ე ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები: „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) — „პამირი“ (დუშანბე) 3:1, „კოტაიკი“ (აბოვიანი) — „კუზბასი“ (კემეროვო) 2:2, „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 0:4, „ფაქელი“ (ვორონეჟი) — „ჩერნომორეცი“ (ოდესა) 0:0, „როტორი“ (ვოლგოგრადი) — ასკ „კარპატი“ (ლვოვი) 2:1, „კოლოსი“ (ნიკოპოლი) — „შინიკი“ (იაროსლავლი) 2:1, „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — „დაუგავა“ (რიგა) 4:3.

I ლიგა

### გათამაშების ცხრილი

**მდგომარეობა 30 ივლისისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ჩერნომ.“ | 21 | 16 | 5 | 0 | 34-7 | 37 |
| „ლოკომოტ.“ | 22 | 11 | 8 | 3 | 28-13 | 30 |
| „კოლოსი“ | 22 | 12 | 4 | 6 | 32-21 | 28 |
| „დაუგავა“ | 21 | 11 | 6 | 4 | 34-19 | 28 |
| „როსტსელ.“ | 21 | 10 | 4 | 7 | 29-25 | 24 |
| „დინ.“ სტ. | 21 | 9 | 6 | 6 | 22-23 | 24 |
| „შინიკი“ | 22 | 9 | 5 | 8 | 15-18 | 23 |
| „მეტალურ.“ | 22 | 8 | 6 | 8 | 31-25 | 22 |
| „პამირი“ | 22 | 8 | 5 | 9 | 27-26 | 21 |
| „გეოლოგი“ | 22 | 8 | 5 | 9 | 24-25 | 21 |
| „კუზბასი“ | 22 | 7 | 7 | 8 | 20-15 | 21 |
| „ფახთაქ.“ | 22 | 7 | 7 | 8 | 21-24 | 21 |
| ასკ „კარპ“ | 22 | 6 | 8 | 8 | 22-24 | 20 |
| „ზარია“ | 22 | 6 | 8 | 8 | 23-31 | 20 |
| ასკ რ. | 22 | 8 | 3 | 11 | 16-25 | 19 |
| „სპარტაკი“ | 22 | 6 | 7 | 9 | 14-22 | 19 |
| „როტორი“ | 22 | 8 | 2 | 12 | 25-33 | 18 |
| „დინამო“ ბ. | 22 | 6 | 6 | 10 | 18-22 | 18 |
| „ტორპ.“ ქ. | 22 | 5 | 8 | 9 | 16-27 | 18 |
| „კოტაიკი“ | 22 | 6 | 4 | 12 | 23-32 | 16 |
| „კრ. სოვეტ.“ | 22 | 5 | 6 | 11 | 18-27 | 16 |
| „ფაკელი“ | 22 | 4 | 8 | 10 | 14-22 | 16 |

### ტურნირის ექო

## პერსპექტიული ცვლა

**საბჭოთა** კავშირის ჭაბუკთა ნაკრები, რომელმაც სულ ახლახან მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა 16 წლამდე ფეხბურთელთა შორის, დააჯილდოვეს ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის საპატიო თასით და ოქროს მედლებით.

ჩვენი ჭაბუკი სპორტსმენების ამ დიდ წარმატებას უპირველესად განვიხილავთ როგორც საბჭოთა ფეხბურთისათვის ახალი რეზერვების მომზადების საწინდარს, დღევანდელი იუნიორები რამდენიმე წლის შემდეგ უნდა გამოცდილ ოსტატთა რიგებში ჩადგნენ და ახალი წარმატებები მოუტანონ ჩვენს ფეხბურთს, სასიხარულოა, რომ მსოფლიო ჩემპიონთა შორის საქართველოს წარმომადგენლებიც არიან.

შეგახსენებთ, რომ საბჭოთა ფეხბურთელებმა ქვეჯგუფში პირველი მატჩი ფრედ დაამთავრეს ნიგერიელებთან — 1:1, შემდეგ დაამარცხეს მაროკოსა (7:0) და ბოლივიის (4:2) გუნდები, მეოთხედფინალში მოუგეს ფრანგებს (3:2), ნახევარფინალში — კოტ დივუარის ნაკრებს (5:1) და ფინალში კვლავ შეხვდნენ ნიგერიის გუნდს. ეს იყო მეტად დრამატული მატჩი, მისი ძირითადი და დამატებითი დრო დამთავრდა ფრედ — 1:1 და ჩემპიონის ვინაობა გამოვლინდა მხოლოდ დამატებითი 11-მეტრიანებით. სწორედ ამ პენალტების სერიის დროს გამოიჩინა თავი ჩვენი გუნდის მეკარემ ლენინგრადელმა ი. ოყრომიძემ, რომელმაც პირველივე პენალტი მოიგერია. საბოლოოდ გაიმარჯვეს საბჭოთა ფეხბურთელებმა — 3:1.

ამ დიდი წარმატებისათვის სსრ კავშირის 16-წლიანთა ნაკრების წევრებს სსრ კავშირის სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭათ.

ჩვენი გუნდის ძირითად შემადგენლობაში გამოდიოდნენ: **მეკარე** ი. ოყრომიძე (ლენინგრადი); **მცველები** — ა. ასადოვი (ბაქო), ი. მოკრიცკი (ლვოვი), ს. ბექენარი (ნიკოპოლი), ი. მოროზი (კიევი); **ნახევარმცველები** — ო. მატვეევი (როსტოვი), ვ. ვისოკოსი (კიევი), მ. კასიმოვი ((ტაშკენტი), ა. მუშჩინკა (ლვოვი), ვ. კადიროვი (ბაქო); **თავდამსხმელები** — ი. ნიკიფოროვი (ოდესა), ს. არუთინიანი (სოხუმი), ნ. რუსინი (კიევი). შემცვლელებად გამოდიოდნენ: ი. გელენავა (სოხუმი), ვ. ცარიოვი (გორკი), ი. მაკაროვი (კიევი), ვ. ლემიში (ბაქო), ვ. გუზი (ვოლგოგრადი).

### საქართველოს პირველობა

განვლილ შაბათ-კვირას გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრები.

#### I ჯგუფი

**„მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „სალხინო“ (გეგეჭკორი) 4:1. მსაჯი რ. ვერულაშვილი (თბილისი).** გოლები: ხუჯაძე, წითელაშვილი, კიკნაძე, ლაბაძე („მეტალურგი“), მურვანიძე („სალხინო“).

**„შადრევანი“ (წყალტუბო) — „დურუჯი“ (ყვარელი) 2:1. მსაჯი ი. კანდელაკი (თბილისი).** გოლები: გოგოლაძე, ჰ. იობიძე („შადრევანი“), მამულაშვილი („დურუჯი“).

მეტოქის ხელით დაჭერისთვის გააფრთხილეს წყალტუბოელი ვ. მუშკუდიანი და ყვარლელი ო. ოსაძე.

**„დინამო“ (ზუგდიდი) — „მერცხალი“ (მახარაძე) 0:0. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი).**

უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს მახარაძელი ფეხბურთელი ვ. კვაჭანტირაძე.

**„სქური“ (წალენჯიხა) — „სულორი“ (ვანი) — 2:0. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).** გოლები: ნიკოლაიშვილი, აფხაზავა („სქური“).

**„სპარტაკი“ (ცხინვალი) — „არმაზი“ (მცხეთა) 3:3. მსაჯი მ. კობიაშვილი (თბილისი).** გოლები: მარღიევი, ხუბეჯიშვილი, ი. ჯიოევი („სპარტაკი“), ხუცურაული, სოლოღაშვილი, გამყრელიძე („არმაზი“).

**„ივერია“ (ხაშური) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 2:0. მსაჯი მ. ჭელიძე (თბილისი).** გოლები: ხარაზიშვილი, ქურდაძე („ივერია“).

**„მადნეული“ (ბოლნისი) — „კახეთი“ (თელავი) 4:2. მსაჯი ე. სილაგავა (თბილისი).** გოლები: ჯაფარიძე, ჩხეტიანი, ჯაგოვი-2 („მადნეული“), ბალათრიშვილი, ჯაშიაშვილი („კახეთი“).

**„ქართლი“ (გორის რ-ნი) — „საპოვნელა“ (თერჯოლა) 3:2. მსაჯი რ. ვერულაშვილი (თბილისი).** გოლები: თედეევი, ჭეჭელაშვილი, გოგიშვილი („ქართლი“), სილაგაძე, ფანჩულიძე („საპოვნელა“).

**„იმერეთი“ (ქუთაისი) — „დინამო“ (გაგრა) 4:1. მსაჯი დ. გაგნიძე (თბილისი).** გოლები: ჭუმბურიძე, მამალაძე, აბჟანდაძე, ტროიანი („იმერეთი“), სიჭინავა („დინამო“).

**ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 0:4. მსაჯი ჯ. წერეთელი (რუსთავი).** გოლები: შონია, გაბისკირია, ჩიქობავა, წულაია („ეგრისი“).

მეტოქის ხელით დაჭერისთვის გააფრთხილეს ცხაკაიელი გ. თათარაშვილი, ხოლო მსაჯთან კამათისთვის — თბილისელები გ. დადვანი და მ. მაჭავარიანი.

**„სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 6:0. მსაჯი დ. მენთეშაშვილი (თბილისი).** გოლები: ქვილითაია, სიჭინავა, ქავთარაძე-2, ციმაკურიძე-2 („სამეგრელო“).

#### II ჯგუფი

**I ქვეჯგუფი.** „სამგორი“ (გარდაბანი)) — „გარეჯი“ (საგარეჯო) 1:2, „მეტალისტი“ (რუსთავი) — „ვარდისუბანი“ (ლაგოდეხი) 2:1, „ბახტრიონი“ (ახმეტა) — „მიონი“-35 (თბილისი) 3:1, „ფოსტამტი“ (თბილისი) — „თუშეთი“ (ქვემო ალვანი) 4:3, „მშენებელი“ (რუსთავი) — „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) 4:3, სასწავლო-საცდელი მეურნეობა (მუხრანი) — „შირაქი“ (წითელი წყარო) 2:1.

**II ქვეჯგუფი.** „ვარძია“ (ასპინძა) — „მესხეთი“ (ახალციხე) (2:1), „თრიალეთი“ (წალკა) — „აბული“ (ახალქალაქი) 4:1, „ზარზმა“ (ადიგენი) — „მევენე“ (ახალდაბა) 1:1, „არაგვი“ (დუშეთი) — „მარაბდა“ (კოდა) 5:0, „ალგეთი“ (მარნეული) — „თორი“ (ბორჯომი) 2:0.

**III ქვეჯგუფი.** „ხვამლი“ (ცაგერი) — „ჩიხურა“ (საჩხერე) 1:2, „მაღაროელი“ (ჭიათურა) — „მშენებელი“ (ჭიათურა) 2:1, „ქიმიკოსი“ (ამბროლაური) — „იბერია“ (ქარელი) 0:2, პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ქუთაისი) — ხდკ (სამტრედია) 1:1, „ჩხერიმელა“ (ორჯონიკიძე) — „მეშაქრე“ (აგარა) 2:1, „მამისონი“ (ონი) — „საირმე“ (მაიაკოვსკი) 1:0.

**IV ქვეჯგუფი.** „ალიონი“ (გალის რ-ნი) — „მზიური“ (გალი) 1:5, „დვაბზუ“ (მახარაძე) — „უნივერსიტეტი“ (სოხუმი) 5:3, „ოდიში“ (ზუგდიდის რ-ნი) — „ავტომობილისტი“ (ბათუმი) 3:1, „კოლხეთი“-2 (ფოთი) — „სუბტროპიკი“ (სოხუმი) 1:0, „ბახმარო“ (ჩოხატაური) — „მეშახტე“ (ტყვარჩელი) 2:1.

### გათამაშების ცხრილი

#### I ჯგუფი

**მდგომარეობა 30 ივლისისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სამეგრელო“ | 24 | 14 | 8 | 2 | 45-16 | 36 |
| „მერცხალი“ | 24 | 13 | 9 | 2 | 33-16 | 35 |
| „შადრევანი“ | 24 | 14 | 6 | 4 | 38-21 | 34 |
| „კოლხეთი“ | 22 | 15 | 3 | 4 | 41-17 | 33 |
| „სქური“ | 24 | 13 | 6 | 5 | 45-26 | 32 |
| „სულორი“ | 24 | 11 | 8 | 5 | 25-21 | 30 |
| ფიზკ. ინსტ. | 24 | 11 | 7 | 6 | 42-29 | 29 |
| „ამირანი“ | 24 | 11 | 4 | 9 | 31-31 | 26 |
| „დინამო“ ზ. | 23 | 8 | 7 | 8 | 30-21 | 23 |
| „ეგრისი“ | 23 | 8 | 7 | 8 | 32-32 | 23 |
| „სპარტაკი“ | 24 | 8 | 7 | 9 | 40-41 | 23 |
| „მადნეული“ | 23 | 7 | 9 | 7 | 34-24 | 23 |
| „სალხინო“ | 24 | 7 | 9 | 8 | 29-37 | 23 |
| „ქართლი“ | 24 | 9 | 4 | 11 | 31-32 | 22 |
| „საპოვნელა“ | 23 | 8 | 6 | 9 | 30-37 | 22 |
| „მეტალურგი“ | 24 | 9 | 3 | 12 | 30-34 | 21 |
| „იმ.-დინ.“-2 | 18 | 7 | 7 | 4 | 32-24 | 21 |
| „დინამო“ გ. | 22 | 6 | 9 | 7 | 23-29 | 21 |
| „იმერეთი“ | 24 | 6 | 6 | 12 | 32-53 | 18 |
| „კახეთი“ | 23 | 6 | 4 | 13 | 39-50 | 16 |
| „არმაზი“ | 24 | 5 | 6 | 13 | 24-40 | 16 |
| „ივერია“ | 24 | 4 | 6 | 14 | 18-34 | 14 |
| „დურუჯი“ | 24 | 3 | 7 | 14 | 16-34 | 13 |
| ახ. საფ. სკ. | 23 | 3 | 0 | 20 | 16-57 | 6 |

## ფეხბურთელი ინანიებს

**ჩვენი** გაზეთის მკითხველს, ვინც კი საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატს ყურადღებით ადევნებს თვალს, ალბათ, ეხსომება, რომ შარშან 23 აგვისტოს ცხაკაიას „ეგრისისა“ და გაგრის „დინამოს“ მატჩის დროს ცხაკაიელმა ფეხბურთელმა ზ. წახნაკიამ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მსაჯს. ფეხბურთის რესპუბლიკური ფედერაციის სპორტტექნიკურმა კომისიამ ამ საქციელისთვის მას აუკრძალა ფეხბურთის ოფიციალურ შეჯიბრებებში მონაწილეობის უფლება.

ამის შემდეგ ზ. წახნაკია სამხედრო სამსახურში გაიწვიეს, მას მეორე შვილი შეეძინა და ამიტომ დემობილიზებული იქნა. ზ. წახნაკიას ამ ხნის განმავლობაში ვარჯიში არ შეუწყვეტია, მან მონანიების ბარათით მიმართა ცხაკაიას რაიონულ გაზეთ „კოლხეთს“ და რესპუბლიკურ სპორტტექნიკურ კომისიასაც. ზ. წახნაკია ხაზს უსვამს, რომ სრულად აქვს შეგნებული თავისი დანაშაულის სიმძიმე, საბჭოთა არმიის რიგებში ყოფნამ მის შეგნებაში ძირფესვიანი ცვლილებები მოახდინა, სურვილი აქვს კვლავ დაუბრუნდეს ფეხბურთს, ითამაშოს ცხაკაიას „ეგრისის“ შემადგენლობაში და სამაგალითო საქციელით გამოისყიდოს დანაშაული.

სპორტსმენს თავდებობა გაუწიეს სპორტულმა ორგანიზაციებმა, „ეგრისის“ კოლექტივმა, ცხაკაიას პარტრაიკომმა და რაიაღმასკომმა კი აღძრეს შუამდგომლობა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წინაშე.

სპორტტექნიკურმა კომისიამ გაითვალისწინა ყველაფერი ეს და შესაძლებლად მიიჩნია შემოიფარგლოს ერთწლიანი დისკვალიფიკაციით, პირობით დაუშვა რესპუბლიკურ ჩემპიონატში ზ. წახნაკია.

საქართველოს სპორტსახკომმა მხარი დაუჭირა ფეხბურთის ფედერაციის სპორტტექნიკური კომისიის გადაწყვეტილებას.

### რეგბი

## უძლიერესთა ექვსეულის კარიბჭესთან

გთავაზობთ რეგბისტთა საკავშირო ჩემპიონატის მე-20 ტურის შედეგებს, რომლებიც 28 ივლისს გაიმართა: „ფილი“ (მოსკოვი) — „სლავა“ (მოსკოვი) 3:9, „ექსკავატორტიაჟსტროი“ (კრასნოიარსკი) — „პრიმორეცი“ (ლენინგრადი) 22:11.

ჩემპიონატს 50 ქულით მონინოს სსა ლიდერობს. მეორე ადგილზეა ქუთაისის „მშენებელი“ — 49 ქულა, მესამეზე კიევის „ავიატორი“ — 46 ქულა.

### ცისფერ ეკრანზე

**ცენტრალური ტელევიზია.**
**30 ივლისი.** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2)**; რიტმული ტანვარჯიში— **21.15 (2)**;

**31 ივლისი.** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2)**; ავტოკროსი. ევროპის ჩემპიონატი (გადაცემა უნგრეთიდან) — **20.30 (2)**.

**საქართველოს ტელევიზია.**
**30 ივლისი.** სპორტული პროგრამა — **20.35.**

რედაქტორი
**თ. გაჩეჩილაძე.**

**საქართველოს პროფკავშირების ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების რესპუბლიკური საბჭო თბილისის საქალაქო საბჭოსთან ერთად 1987 წლის 8 აგვისტოს სერგო ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში ჩაატარებს ფიზკულტურის საკავშირო დღისადმი მიძღვნილ მასობრივ სპორტულ, გამაჯანსაღებელ ღონისძიებას.**

პროგრამაშია: მინიფეხბურთი, ბაგირის გადაძალვა, მაგიდის ჩოგბურთი, ერთდროული თამაშის სეანსი ჭადრაკში და მძლეოსნური გადარბენი (რკინიგზის სახლიდან ორჯონიკიძის სახელობის პარკამდე).

დასაწყისი დღის 11 საათზე.

**„ლოკომოტივის“ სტადიონი**
**(ილია ჭავჭავაძის გამზირი, 74)**
**31 ივლისი**
**რეგბი**
**საბჭოთა კავშირის პირველობა**
**„ელმავალი“ (თბილისი) — „ავიატორი“ (კიევი).**
დასაწყისი 19 სთ. 30 წთ.

ინდექსი: 66435. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუს სში, ხოშარაულის ქ. 29. უე 07958